მიმდინარე და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების შეუსაბამობა და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების გაუმჯობესების გზები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

სსიპ ქალაქ თერჯოლის # 2 საჯარო სკოლის მათემატიკის
უფროსი მასწავლებელი

მაკა ყიფშიძე

კვლევის სტრუქტურა

- **შესავალი ---------- 3**

თავი I- საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა----------3

- შემაჯამებელი დავალებების შეფასება/ანალიზი----------3
- პრობლემის აქტუალობა----------6
- კვლევის მიზანი და ამოცანა----------6

თავი II -ლიტერატურის მიმოხილვა----------7

- შემაჯამებელი დავალებების დანიშნულება და არსი----------7

თავი III-კვლევის მეთოდოლოგია----------9

- კვლევის სამიზნე ჯგუფი----------9
- მონაცემების შეგროვება ----------9
- კვლევის მეთოდები----------9
- კვლევის ვადები (განრიგი)----------11

თავი IV -კვლევის შედეგები----------12

- მეორეული მონაცემების ანალიზი----------12
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი----------12

თავი V ინტერვენციების აღწერა და მათი შედეგები----------18

- ინტერვენციები----------18
- ინტერვენციების შეფასების მეთოდები და შედეგები----------18

თავი VI - მიგნებები, რეკომენდაციები ----------21

დასკვნა ----------22

გამოყენებული ლიტერატურა----------24

დანართი/დანართები----------25

რეფლექსია ----------27

❖ შესავალი

ნაშრომში ასახულია სსიპ ქალაქ თერჯოლის #2 საჯარო სკოლის მათემატიკის უფროსი მასწავლებელ **მაკა ყიფშიძის** V^1 კლასში განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ანგარიში.

ნაშრომში განხილულია ინფორმაცია, იმის შესახებ რომ შემაჯამებელ სამუშაოებში გვაქვს უფრო დაბალი შეფასება და შემოთავაზებულია პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზები.

კვლევა მიმდინარეობდა V^1 კლასში. 2018-2019 სასწავლო წლის დასაწყისში კლასში ირიცხებოდა 16 მოსწავლე.

ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის პირველ სემესტრში არ გვქონდა განმსაზღვრელი შეფასება, მიუხედავად ამისა, პერიოდულად ვატარებდი შემაჯამებელ სამუშაოებს (დამოუკიდებელი სამუშაო) და მოსწავლეებს ვაძლევდი განმავითარებელ შეფასებას.

მეორე სემესტრიდან კი, მას შემდეგ, რაც უკვე დავიწყე მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი შეფასებით და თითოეული თემის ბოლოს ვატარებდი შემაჯამებელ სამუშაოებს, უფრო მკვეთრად გამოიკვეთა პრობლემა, რომ მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი უფრო მაღალ შეფასებას იღებდა საგაკვეთილო პროცესების დროს, ვიდრე შემაჯამებელ სამუშაოებში.

სწორედ ამ პრობლემამ გადამაწყვეტინა, ჩამეტარებინა მცირე კვლევა, დამედგინა მოსწავლეთა წარმატება / წარუმატებლობის მიზეზები, გამეკეთებინა დასკვნები და კვლევის შედეგად მიღებული ეს დასკვნები გამომეყენებინა სასწავლო პროცესების დასაგეგმად ჩემს პრაქტიკაში.

V^1 კლასში ჩატარებული პრაქტიკული კვლევის მიხედვით შეიძლება დავასკვნა, რომ მოსწავლეები მათემატიკის შემაჯამებელ სამუშაოებში შედარებით დაბალ შეფასებას იღებენ იმიტომ, რომ:

- ❖ მოსწავლეები ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებიან შემაჯამებელი სამუშაოებისათვის მომზადებას.
- ❖ შედარებით დაბალი შეფასების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ დროის დეფიციტს.
- ❖ ასევე გამოიკვეთა პრობლემა, რომ შემაჯამებელი სამუშაოები თითქმის ყოველთვის არის ტესტური ფორმის ღია და დახურულ ბოლოიანი კითხვებით და ამოცანებით.

კვლევის პროცესში ჩემ მიერ დასახული გზები დამეხმარა სასურველი შედეგისათვის მიმეღწია. მოსწავლეებში შეიცვალა დამოკიდებულება შემაჯამებელი სამუშაოების მიმართ და მათ გააცნობიერეს, რომ შემაჯამებელი დავალებების შესრულებისათვის საკითხების სიღრმისეული ცოდნა აუცილებელია, რომ მეტი დრო უნდა დაუთმონ შემაჯამებელი დავალებებისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს.

ნაშრომი შედგება ექვსი თავისაგან:

თავი I- საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა (კერძოდ: შემაჯამებელი დავალებები და მასთან დაკავშირებული პრობლემები, კვლევის მიზნები და ამოცანები).

თავი II- გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა.

თავი III- კვლევის მეთოდოლოგია (ეხება სამიზნე ჯგუფსა და ასახავს ინფორმაციას კვლევის მეთოდების შესახებ).

თავი IV- კვლევის შედეგები

თავი V- ინტერვენციების აღწერა და მათი შედეგები (განხილულია ინტერვენციები, მათი დაგეგმვა , განხორციელება, შედეგები).

თავი VI- მიგნებები და რეკომენდაციები

თავი I -საკვლევი საკითხის ზოგადი მიმოხილვა

❖ შემაჯამებელი დავალებების შეფასება/ანალიზი

როგორც ყველა საგანში, ასევე მათემატიკაშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემაჯამებელი სამუშაოების ჩატარება. შემაჯამებელი დავალებები გვეხმარება შევამოწმოთ სწავლა-სწავლების ხარისხი.

მათემატიკაში ყოველი თემის ბოლოს გვაქვს შემაჯამებელი დავალება, რომელიც ამოწმებს კონკრეტული საკითხების შესახებ მოსწავლის ცოდნას. შემაჯამებელი შეფასება კი გვაძლევს ინფორმაციას მოსწავლის წინსვლის, მიღწევისა თუ პრობლემის შესახებ.

როგორც ვიცით, მოსწავლემ კონკრეტული საკითხის შესწავლის შემდგომ უნდა შეძლოს მათემატიკის საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების წარმოჩენა. ხოლო შემაჯამებელი სამუშაო უნდა აფასებდეს მათემატიკის საგნობრივი პროგრამით განსსზღვრულ შედეგებს. სწორედ შემაჯამებელი დავალებები ეხმარება მასწავლებელს განსაზღვროს რამდენადაა შესაბამისობაში

სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და უნარები, მოსწავლის ცოდნასა და უნარებთან.

შემაჯამებელი დავალებების ძლიერი მხარეა ის, რომ ის იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს მოსწავლეთა მიღწევები და გატარდეს გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისი ღონისძიებები. შემაჯამებელი სამუშაო ასევე ეხმარება მოსწავლეს თვითონ აწარმოოს დაკვირვება სწავლა/სწავლების პროცესზე და განახორციელოს საკუთარი წარმატება/წარუმატებლობის მონიტორინგი.

ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სტანდარტით მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მათემატიკის შემაჯამებელი დავალებების ტიპებია:

- ტექსტურ ამოცანასთან დაკავშირებული ღია ან დახურული (რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, სწორი თანმიმდევრობით დალაგება) ტიპის დავალება;
- ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე) მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება (მათ შორის, ისეთი ტექსტის, რომელიც შეიცავს დიაგრამებს და ცხრილებს);
- განტოლების ამოხსნა, ასოითი გამოსახულების გამარტივება, რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;
- გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება;
- ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა (მაგალითად, თეორემის დამტკიცება).

2018-2019 სასწავლო წელს მათემატიკის სწავლება დავიწყე V^1 კლასში.სასწავლო წლის პირველ სემესტრში მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ სწავლა/სწავლების პროცესში, ისინი ხალისით ასრულებდნენ სხვადასხვა აქტივობებს გაკვეთილებზე, აქტიურად იყვნენ ჩართული ახალი მასალის ახსნისას.ანალოგიური სიტუაცია გაგრძელდა მეორე სემესტრში , თუმცა აღმოჩნდა რომ მოსწავლეების შეფასება საგაკვეთილო პროცესებში შედარებით უფრო მაღალი აღმოჩნდა ვიდრე შემაჯამებელი სამუშაოების შესრულებისას.

სწორედ ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ მეწარმოებინა მონიტორინგი შემაჯამებელი სამუშაოს ხარისხზე.ჩემი მიზანი იყო მომეხერხებინა და გამეუმჯობესებინა მოსწავლეების შედეგები შემაჯამებელ დავალებებში.

დავიწყე სპეციალური ლიტერატურის გაცნობა, ასევე დახმარებისათვის მივმართე კოლეგებს, რადგან გამოცდილების გაზიარება სასწავლო პროცესის ეფექტური წარმართვის საუკეთესო გზაა.შევეცადე სწორად დამეგეგმა პრევენციული ღონისძიებები.

❖ პრობლემის აქტუალობა

პრობლემის მასშტაბურობის დასადგენად, მივმართე მასწავლებლებს რომლებიც ასევე ასწავლიან აღნიშნულ კლასს, ასევე როგორც ჩემს ასევე სხვა სკოლის მათემატიკის რამდენიმე მასწავლებელს.

აღმოჩნდა, რომ ისინიც დგანან მსგავსი პრობლემის წინაშე. ამ ფაქტმა კიდევ მეტი სტიმული მომცა იმისათვის, რომ სიღრმისეულად შემესწავლა პრობლემა და მეპოვა მისი გადაჭრის გზები.

ვთვლი, რომ კვლევა დამეხმარება როგორც მე საკუთარი პროფესიული ზრდისათვის, ასევე ჩემს კოლეგებს. ამასთანავე დაეხმარება ჩემ მოსწავლეებს.

❖ კვლევის მიზანი და ამოცანა.

კვლევის უმთავრესი მიზანია შემაჯამებელ სამუშაოებში მოსწავლეთა დაბალი შედეგების ანალიზი.
კერძოდ:

- მეხუთე კლასში ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების ანალიზი.
- დაბალი შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა/სიღრმისეული შესწავლა.
- საჭირო ინტერვენციების დადეგმვა, განხორციელება და შედეგების შეფასება.

მთავარი ამოცანაა, კვლევის განხორციელების შემდეგ, პასუხი გაეცეს მნიშვნელოვან კითხვებს. მაინტერესებს:

- როგორ უნდა დავგეგმოთ და განვახორციელოთ შემაჯამებელი დავალებები ისე, რომ სამუშაო იყოს ეფექტური და ეფექტიანი.
- რა გავლენას ახდენს შემაჯამებელი დავალებების ერთფეროვნება მოსწავლეთა შედეგებზე?
- რამდენად ითვალისწინებს მასწავლებელი შემაჯამებელი ტესტების შედგენის დროს მოსწავლეთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს?

თავი II - ლიტერატურის მიმოხილვა

2.1 შემაჯამებელი დავალებების დანიშნულება და არსი

კვლევის ფარგლებში, გადავწყვიტე გავცნობოდი სხვადასხვა ლიტარატურას შემაჯამებელი დავალებების შესახებ.

როგორც ვიცით, გარკვეული სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების შემდეგ აუცილებელია შემაჯამებელი დავალებების ჩატარება. შემაჯამებელი სამუშაო ორივე მხარეს (მასწავლებელი და მოსწავლე) უქმნის გარკვეულ წარმოდგენას რამდენადაა დაძლეული სასწავლო ერთეული და რამდენად წარმოჩნდა სტანდარტით გასნაზღვრული ცოდნა და უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე. აუცილებელია შემაჯამებელი დავალება იყოს ეფექტურიც და ეფექტიანიც. ის არ უნდა გადაიქცეს ფორმალურ სამუშაოდ (ნინო ლომიძე -შემაჯამებელი დავალების ფორმა და ანალიზი.15 მარტი 2017 წელი . http://mastsavlebeli.ge/?p=13523).

შემაჯამებელი დავალებები, სასურველია, იყოს მრავალფეროვანი. ამავე დროს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი დავალებები :

1. დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;
2. ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
3. მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება. (ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024).

კარგი შემაჯამებელი დავალებისა და შესაბამისი რუბრიკის შექმნა ადვილი საქმე არ არის. შემაჯამებელი სამუშაოს შექმნისას უნდა გავითვალისწინოთ თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ამოცანა და აქტივობა ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი პროგრამის სტანდარტებსა და ინდიკატორებს.

მნიშვნელოვანია იმის გააზრება და დაფიქსირება ინსტრუქციების სახით, თუ რა მასალები ან დამატებითი ინფორმაციაა საჭირო დავალების შესრულებისათვის. რა დრო დასჭირდება დავალების შესრულებას ან სხვა რა სპეციფიკური პირობებია საჭირო დავალების შესასრულებლად, რომელიც დავალების თავისებურებებიდან გამომდინარეობს და ხელს შეუწყობს მოსწავლეს დავალების შესრულებაში, ხოლო მასწავლებელს შესრულების შემოწმება/შეფასებაში.

აუცილებელია შეფასების რუბრიკა მოსწავლისათვის გასაგები იყოს და გაარკვიოს, რას მოითხოვენ მისგან და რას ნიშნავს დავალების შესრულება ამა თუ იმ დონეზე. რუბრიკა აგებული უნდა იყოს ისე, რომ მასწავლებელმა იხელმძღვანელოს და გაარკვიოს, როგორაა მოსწავლის მიღწევები შესაფასებელ სტანდარტებთან მიმართებაში. გამოიყენოს იგი უკუკავშირის ფორმულირებისათვის.

უმჯობესია ქულები ყოველი კრიტერიუმის თითოეულ დონეს ცალ-ცალკე მივუწეროთ, შესაძლებელია სხვადასხვა კრიტერიუმს სხვადასხვა წონა მივანიჭოთ. (გია ნოზაძე -როგორ შევქმნათ შემაჯამებელი დავალება და შესაბამისი ანალიტიკური რუბრიკა .12 დეკემბერი 2016 წელი. http://mastsavlebeli.ge/?p=12442).

შემაჯამებელი დავალების კომპონენტში აუცილებელია განმსაზღვრელი

შეფასების გამოყენება. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ყველა საგნისათვის შემაჯამებელი დავალებების მინიმალური სავალდებულო რაოდენობა, თუმცა მასწავლებელს უფლება აქვს, კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, დაამატოს შემაჯამებელი დავალებები.

თუ მოსწავლე ვერ დაესწრო შემაჯამებელ სამუშაოს, სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს და შესთავაზოს დამატებითი შემაჯამებელი სამუშაო. შემაჯამებელი დავალებების აღდგენა ვრცელდება, როგორც სავალდებულო ისე მასწავლებლის მიერ დამატებულ შემაჯამებელ დავალებებზე. შემაჯამებელი სამუშაოს აღდგენის ვადებსა და პირობებს განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმა.

მასწავლებელი ვალდებულია შეაგროვოს და შეინახოს შემაჯამებელი დავალებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია:

- სტანდარტის ის შედეგი/შედეგები, რომლის შეფასებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება;
- კრიტერიუმები, რომლითაც შეფასდა ეს დავალებები;
- მასწავლებლის მიერ შეფასებული რამდენიმე ნიმუში ან ვიზუალური მასალა;
- თითოეული კლასის მოსწავლეთა მიერ მიღებული ქულები;

აღნიშნული მასალა საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ მასწავლებელმა მოახდინოს მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების რეფლექსია.

სასურველია, მასწავლებელმა შემაჯამებელი დავალებების შესახებ მიღებული წლიური ანგარიში წარადგინოს კათედრაზე კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით. (მანანა ბოჭორიშვილი -პრაქტიკული პედაგოგიკა-შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზის პრაქტიკა. 25 იანვარი 2015 წელი. http://mastsavlebeli.ge/?p=1789).

შემაჯამებელი დავალება არ უნდა გახდეს მოსწავლისათვის სწავლისადმი ინტერესის დამკარგავი. თუ ვამბობთ, რომ მნიშვნელოვანია, მოსწავლემ წინასწარ იცოდეს შემაჯამებელი დავალების ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ დროულად ,მანამ სანამ მოსწავლეს დაუკარგავს ინტერესი მის მიერ შესრულებული სამუშაოს მიმართ, მოხდეს უკუკავშირი.

რადგან შემაჯამებელი დავალების მთავარი ფუნქციაა დაადგინოს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მიღებული შედეგები გაითვალისწინოს შემდგომში სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს. (მანანა სეხნიაშვილი-შემაჯამებელი ტესტური დავალების ნიმუში, შეფასების რუბრიკა და შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა. http://mastsavlebeli.ge/?p=242).

თავი III - კვლევის მითოდოლოგია

კვლევის სამიზნე ჯგუფი

ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის სამიზნე ჯგუფი არის სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალაქ თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის V^ა^ კლასის 16 მოსწავლე.

მონაცემთა შეგროვება

მონაცემთა შეგროვებისათვის გამოვიყენე:

- ფოკუსირებული დაკვირვება.
- მეორეულ მონაცემთა ანალიზი.
- დიალოგი კოლეგებთან
- კითხვარები მოსწავლეთათვის.
- კითხვარები მასწავლებლებისათვის

კვლევის მეთოდები

მონაცემთა შეგროვების თვისებრივი (ფოკუსირებული დაკვირვება და შერჩევითი დაკვირვება, დიალოგი) და რაოდენობრივი მეთოდების (დახურული ანკეტირება) გამოყენებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა საკმაოდ მაღალი მოტივაციის მიუხედავად, მათი შედეგები შემაჯამებელ სამუშაოებში დაბალია, რადგან შემაჯამებელ დავალებებად ძირითადად ერთფეროვანი დავალებებია.

1. **მეორადი მონაცემთა ანალიზი-** პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად გადავწყვიტე გამომეყენებინა მეორადი მონაცემების ანალიზი. განვიხილე და შევისწავლე შემაჯამებელი ტესტების ნიმუშები. ასევე, ინტენსიურად ვაკვირდებოდი, თუ როგორ ასრულებდნენ მოსწავლეები საკლასო თუ დამოუკიდებელ სამუშაოებს. გამოიკვეთა პრობლემა, რომ მოსწავლეები გაცილებით მაღალ შეფასებას ღებულობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ვიდრე შემაჯამებელ დავალებებში.
2. **ფოკუსირებული დაკვირვება-** მოსწავლეებზე დაკვირვებას ვაწარმოებდი საგაკვეთილო პროცესის დროს შემდეგი მიმართულებებით:
   - რამდენად უმარტივდებოდათ ან უჭირდათ წერითი სამუშაოების დამოუკიდებლად შესრულება?
   - როგორი ტიპის (ღია თუ დახურული) დავალებებს უფრო ინტერესით ასრულებდნენ?
   - რამდენად ყურადღებით ეცნობოდნენ დავალების ინსტრუქციას?
   - როგორ ახერხებენ ამოცანის პირობიდან მოცემული და საძიებელი

სიდიდეების ამოცნობას?

3. **დიალოგი კოლეგებთან** -კოლეგებთან ერთად ვიმსჯელეთ იმ სავარაუდო მიზეზებზე, რაც შეიძლება ყოფილიყო შემაჯამებელ დავალებებში დაბალი შედეგების განმაპირობებელი. შეხვედრა წარიმართა დიალოგის რეჟიმში.
4. **კითხვარები მასწავლებლებისათვის** - კვლევის სრულყოფისათვის და პრობლემატიკის უფრო დაკონკრეტებისათვის გადავწყვიტე განმეხორციელებინა კითხვარების შევსება კოლეგებთან.
   როგორც V^ა^ კლასის სხვა საგნის მასწავლებლებს, ასევე ჩემი და სხვა სკოლის მათემატიკის რამდენიმე მასწავლებელს დავუსვი კითხვები:
   - თქვენი აზრით, რატომ უჭირთ მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებებში მაღალი შეფასების მიღება?
   - თვლით თუ არა, რომ შემაჯამებელი დავალებების ერთფეროვნება არის ერთ-ერთი მიზეზი მოსწავლეების შედარებით დაბალი შეფასებისა?
   - თქვენი აზრით, უთმობთ თუ არა საჭირო დროს კლასში შემაჯამებელი დავალებებისათვის მზადებას?

5. **კითხვარები მოსწავლეებისათვის** - კითხვარი შეავსო 16-მა მოსწავლემ. იმისათვის, რომ პასუხები ყოფილიყო გულწრფელი, გამოკითხვა ჩატარდა ანონიმურად.

❖ კვლევის ვადები

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი პრობლემის შერჩევა	X					
საკვლევი პრობლემის გეგმის შემუშავება	X					
ლიტერატურის დამუშავება	X					
კითხვარების შედგენა/დამუშავება		X				
კითხვარების შევსება			X			
დიალოგი კოლეგებთან			X			
კითხვარების შევსება მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ			X			
მიღებული შედეგების ანალიზი			X			
ინტერვენციების დაგეგმვა/განხორციელება				X	X	
ინტერვენციების ანალიზი					X	
შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი					X	
პრეზენტაცია სკოლაში						X

თავი IV -კვლევის შედეგები

- **მეორეული კვლევის ანალიზი-** მოსწავლების ნამუშევრების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა , რომ მოსწავლეები უფრო დაბალ შეფასებას ღებულობენ როგორც დამოუკიდებელ (პირველი სემესტრი) ასევე შემაჯამებელ დავალებებში (მეორე სემესტრი), ვიდრე საკლასო დავალებების კომპონენტში.

- **ფოკუსირებული დაკვირვება გაკვეთილებზე** - გაკვეთილებზე დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეები ნაკლებად არიან მობილიზებულები ინსტრუქციების მოსმენისას.

  ასევე, უჭირთ შესწავლილი მასალის გახსენება გარკვეული დროის შემდეგ, ანუ ახალი სასწავლო მასალის შესწავლისას ორიენტირებული არიან მოკლევადიან მიზნებზე, რაც ძირითადად იმაში გამოიხატება, რომ მასალას ამზადებენ „ მხოლოდ მომდევნო გაკვეთილისათვის“.
- **დიალოგი კოლეგებთან** --კოლეგებთან გასაუბრებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მსგავსი პრობლემები აქვს თითქმის ყველა საგანის მასწავლებელს. მათი თქმით, მოსწავლეები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ შემაჯამებელ დავალებების წინა მოსამზადებელ სამუშაოებს. ასევე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ინსტრუქციებს.
  გასაუბრებამ ცხადყო, რომ მოსწავლეების დაინტერესება მატულობს, როდესაც მასწავლებელი სწრაფადვე აძლევს მათ უკუკავირს შემაჯამებელი დავალებების შესახებ.

- **კითხვარი მასწავლებლებისათვის-** პრობლემის მიზეზების დასაკონკრეტებლად შევადგინე კითხვარი და ვთხოვე კოლეგებს მათი შევსება. გამოიკითხა 10 მასწავლებელი.

1. **კითხვა:** თქვენი აზრით, რატომ უჭირთ მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებებში მაღალი შეფასების მიღება?



- მასწავლებელთა 50 % -ის აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსწავლეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ინსტრუქციებს, 30%-ის აზრით მოსწავლეები საჭირო დროს არ უთმობენ შემაჯამებელი დაველებებისათვის მომზადებას, ხოლო 20 %-ის აზრით, მიზეზი საკითხების ზედაპირული ცოდნაა

2. **კითხვა:** თვლით თუ არა, რომ შემაჯამებელი დავალებების ერთფეროვნება არის ერთ-ერთი მიზეზი მოსწავლეების შედარებით დაბალი შეფასებისა?



- მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობის აზრით, შემაჯამებელი

დავალებების მრავალფეროვნება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და შესაბამისად შედეგებიც უფრო მაღალი იქნება

- ❖ დავალებების მრავალფეროვნება (პროექტები, პრეზენტაციები..) აუცილებელია, თვლის მასწავლებელთა 70 %, 30%-ის აზრით კი, შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება გავლენას ვერ მოახდენს შედეგებზე.

მასწავლებელთა კითხვარების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნა, რომ:

- **მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ იღებს მაღალ შეფასებას შემაჯამებელ დავალებაში, რადგან ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ინსტრუქციებს**
- **მასწავლებლები ფიქრობენ, რომ შემაჯამებელი დავალებების მრავალფეროვნება ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას**

❖ **კითხვარის შევსება მოსწავლეთა მიერ-** შევადგინე მარტივი კითხვარი, რომლითაც შევეცადე, დამედგინა ყველაზე მეტად რა უჭირთ მოსწავლეებს შემაჯამებელი დავალებების შესრულების დროს. მოსწავლეთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა

1. **კითხვა:** როგორ ფიქრობთ, რა მიზნით ტარდება შემაჯამებელი სამუშაო?

❖ მოსწავლეთა 50 % თვლის, რომ შემაჯამებელი დავალებები ტარდება შესწავლილი თემის გასამეორებლად. 38 % -შესწავლილი თემის ხარისხის დასადგენად. 12 % კი - შეფასების მისაღებად.



2. **კითხვა: როგორი ტიპის შემაჯამებელი დავალებები უფრო მოგწონთ?**

- მოსწავლეთა 25 % -ს ურჩევნია ტესტი შემოსახაზი პასუხებით, 13 % -ს ტესტი შემოსახაზი და ღია კითხვებით, ხოლო 62 % -ს მოსწონს პროექტები, პრეზენტაციები.



3. კითხვა: თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ კარგად ვერ ასრულებთ შემაჯამებელ დავალებებს?

- გამოკითხულთა 37%-ს არ აქვს საკმარისი დრო დავალების შესასრულებლად, 50% -ისათვის გაუგებარია დავალების ინსტრუქცია, 10% მიიჩნევს, რომ არ ჰქონდა მსგავსი დავალება შესრულებული, 3% სხვა მიზეზებს ასახელებს



4. კითხვა: ემზადებით თუ არა წინასწარ შემაჯამებელი სამუშაოებისათვის?

- **25 %** პასუხობს, რომ ყოველთვის ემზადება, **69 %** - იშვიათად, **6%** არასოდეს



5. **კითხვა:** რა დროს უთმობთ შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებისათვის მზადებას?

❖ მოსწავლეთა **19 %** ამბობს, რომ შემაჯამებელი სამუშაოებისათვის მზადებას უთმობს 15-20 წთ; **50 %**- 20-30 წთ; **12 %**- 30 წთ-დან ერთ საათამდე და **19%** ერთ საათზე მეტი.



ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ :

- მოსწავლეები თვლიან, რომ შემაჯამებელი დავალებები ტარდება შესწავლილი თემის გასამეორებლად.
- ისინი ნაკლებ დროს უთმობენ შემაჯამებელი დავალებებისათვის მზადებას.
- მოსწავლეთა უმრავლესობისათვის გაუგებარია დავალების ინსტრუქცია
- მოსწავლეების უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს პროექტებს და პრეზენტაციებს.

თავი V - ინტერვენციების აღწერა და მისი შედეგები

5.1 ინტერვენციები

შეგროვებული მონაცემების ანალიზის შემდგომ, გადავწყვიტე მნიშვნელოვანი სიახლეები შემეტანა სწავლა-სწავლების პროცესში.

ინტერვენციები დავგეგმე კითხვარების შედეგების ანალიზის მიხედვით:

1. მოსწავლეებს ავუხსენი, რომ შემაჯამებელ დავალებებში მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია სიღრმისეული ცოდნა.
2. აუცილებელია ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს წინ მომზადება და ამასთან უფრო მეტი დრო უნდა დაუთმონ წინამოსამზადებელ სამუშაოებს.
3. შევეცადე ინსტრუქციები ყოფილიყო მაქსიმალურად მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ხშირად ვუმარტივებდი კიდეც, რომ მარტივად გაეგოთ რას მოითხოვდა მათგან თითოეული დავალება.
4. დავიწყე კლასში დამატებითი მეცადინეობების ჩატარება. მოსწავლეები კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენებით (ინდივიდუალური, წყვილები, ტრიადები, ჯგუფური) განიხილავდნენ შემაჯამებელი დავალებების მსგავს საკითხებს. შეცდომების დაშვების შემთხვევაში კიდევ უბრუნდებოდნენ საკითხის თეორიულ მხარეს.
5. შემაჯამებელი დავალებების გამრავალფეროვნების მიზნით დავიწყეთ პროექტებზე და პრეზენტაციებზე მუშაობა. (1.სამკუთხედის პრაქტიკული გამოყენება. 2.სიგრძისა და მასის საზომი ერთეულები. 3. ვარდების ხეივნის გაშენება. 4. მზის სისტემების პლანეტები და ა.შ.)
6. შემაჯამებელი სამუშაოს შემდეგ სწრაფადვე ვაძლევდი კონსტრუქციულ უკუკავშირს, რეკომენდაციებს. მოსწავლეები ინტერესით ისმენდნენ და ცდილობდნენ თითოეული რეკომენდაცია გაეთვალისწინებინათ ყოველ შემდგომ სამუშაოზე.

❖ ინტერვენციების შეფასების მეთოდები და შედეგები

იმის დასადგენად, რამდენად ეფექტური და შედეგიანი იყო ჩემ მიერ განხორციელებული ინტერვენციები განვახორციელე შემდეგი აქტივობები:

- განმეორებით ჩავატარე მოსწავლეებში გამოკითხვა.
- შემდგომი შემაჯამებლების ანალიზმა აჩვენა, რომ მდგომარეობა გაუმჯობესდა.

შედეგები მოსწავლეთა განმეორებით ანკეტირების შემდეგ:

შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების გაუმჯობესების უფრო თვალნათლივ დასანახად პირველადი და მეორედი გამოკითხვის შედეგები გამოვსახე ერთ დიაგრამაზე:

1. **როგორ ფიქრობთ , რა მიზნით ტარდება შემაჯამებელი სამუშაო?**



2. როგორი ტიპის შემაჯამებელი უფრო მოგწონთ?



3. თქვენი აზრით რა არის იმის მიზეზი, რომ კარგად ვერ ასრულებთ შემაჯამებელ დავალებებს?



4. ემზადებით თუ არა წინასწარ შემაჯამებელი სამუშაოებისათვის?



5. რა დროს უთმობთ შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებისათვის მზადებას?



განმეორებითმა ანკეტირებამ ცხადყო, რომ მოსწავლეები:

- უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებიან შემაჯამებელ დავალებებს.
- უფრო მეტი ყურადღებით ეცნობიან ინსტრუქციებს.
- უფრო მეტ დროს უთმობენ შემაჯამებელი სამუშაოებისათვის მომზადებას.

თავი VI -მიგნებები და რეკომენდაციები

ინტერვენციების შემდეგ გამოიკვეთა, რომ :

- ✓ შემაჯამებელი დავალებების სწორად შეუსრულებლობის მთავარ მიზეზად მოსწავლეები ასახელებენ ასახელებენ დროის დეფიციტსა და ინსტრუქციების გაუგებრობას.
- ✓ ასევე დაბალი ინტერესის ერთ-ერთ ფაქტორად გამოიკვეთა ის, რომ მოსწავლეებს სურვილი აქვთ შემაჯამებელ დავალებებში უფრო მეტი იყოს პროექტები, პრეზენტაციები და ა. შ.

მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების მიხედვით მასწავლებლებს გავაცანი რამდენიმე რეომენდაცია, რომლებიც დაეხმარებათ მათ, უკეთ დაგეგმონ შემდგომი შემაჯამებელი სამუშაოები.

რეკომენდაციები მასწავლებლებს

- ✓ შემაჯამებელი დავალებების შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და ინდივიდუალური შესაძლებლობები.
- ✓ შემაჯამებელი დავალებები იყოს მრავალფეროვანი.
- ✓ შემაჯამებელი დავალებები უნდა იყოს დროში მოსწრებადი.
- ✓ მოსწავლეებმა წინასწარ უნდა იცოდნენ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების დრო, შემაჯამებელი დავალების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები.
- ✓ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ, მასწავლებელმა სწრაფადვე უნდა მისცეს მოსწავლეს კონსტრუქციული უკუკავშირი და რეკომენდაციები.

❖ დასკვნა

სსიპ თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის V^ა^ კლასში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემიძლია დავასკვნათ, რომ მიმდინარე და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგები არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, კერძოდ, საკლასო სამუშაოების შესრულების ხარისხი უფრო მაღალი იყო, ვიდრე შემაჯამებლების, რადგან მოსწავლეებს უჭირდათ შემაჯამებელი დავალებების დამოუკიდებლად შესრულება.

შემაჯამებელ სამუშაოებში მოსწავლეთა დაბალი შედეგების მიზეზებია:

1. მოსწავლეთა არასათანადო მზადება შემაჯამებელი დავალებებისათვის.
2. უგულისყუროდ წაკითხული ინსტრუქციები
3. დროის დეფიციტი.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთესი შედეგები აჩვენონ, საჭიროა:

- მოსწავლეებმა მეტი დრო დაუთმონ შემაჯამებელი დავალებების მომზადებას.
- შემაჯამებელი დავალებების შედგენისას გათვალისწინებული იქნას მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.
- შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეთა სწრაფად შეფასება და უკუკავშირის მიცემა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. http://mastsavlebeli.ge/?p=281 სოფიკო ლობჟანიძე - როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები
2. http://mastsavlebeli.ge/?p=13523 ნინო ლომიძე -შემაჯამებელი დავალების ფორმა და ანალიზი
3. http://mastsavlebeli.ge/?p=12442 გია ნოზაძე როგორ შევქმნათ შემაჯამებელი დავალება და შესაბამისი ანალიტიკური რუბრიკა.
4. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024 ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა
5. http://mastsavlebeli.ge/?p=1789 მანანა ბოჭორიშვილი პრაქტიკული პედაგოგიკა-შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზის პრაქტიკა
6. http://mastsavlebeli.ge/?p=242 მანანა სეხნიაშვილი-შემაჯამებელი ტესტური დავალების ნიმუში, შეფასების რუბრიკა და შემაჯამებელი სამუსაოს ანალიზის ფორმა .

<u>დანართი 1</u>

კითხვარი მოსწავლეებისათვის

1. როგორ ფიქრობთ, რა მიზნით ტარდება შემაჯამებელი სამუშაო?

   ა) შესწავლილი თემის გასამეორებლად
   ბ) შესწავლილი თემის ათვისების ხარისხის დასადგენად
   გ) შეფასების მისაღებად
2. როგორი ტიპის შემაჯამებელი დავალებები უფრო მოგწონთ?
   ა) ტესტი შემოსახაზი პასუხებით
   ბ) ტესტი შემოსახაზი და ღია კითხვებით
   გ) პროექტები, პრეზენტაციები....
3. თქვენი აზრით რა არის იმის მიზეზი, რომ კარგად ვერ ასრულებთ შემაჯამებელ დავალებებს?
   ა) დავალების შესასრულებლად არ იყო დრო საკმარისი
   ბ) ჩემთვის გაუგებარი იყო დავალების ინსტრუქცია
   გ) არ მქონდა წინასწარ ნამუშევარი მსგავს საკითხებზე.
   დ) სხვა...
4. ემზადებით თუ არა წინასწარ შემაჯამებელი სამუშაოებისათვის?
   ა) ყოველთვის
   ბ) იშვიათად
   გ) არასოდეს
5. რა დროს უთმობთ შემაჯამებელი სამუშაოს დავალებებისათვის მზადებას?
   ა) 15-20 წთ
   ბ) 20-30 წთ
   გ) 30 წთ-დან ერთ საათამდე
   დ) ერთ საათზე მეტი.

<u>დანართი 2</u>

კითხვარი მასწავლებლებისათვის

1. თქვენი აზრით, რატომ უჭირთ მოსწავლეებს შემაჯამებელ დავალებებში მაღალი შეფასების მიღება?

---

2. თვლით თუ არა, რომ შემაჯამებელი დავალებების ერთფეროვნება არის ერთ-ერთი მიზეზი მოსწავლეების შედარებით დაბალი შეფასებისა? (რატომ?)

---

3. თქვენი აზრით უთმობთ თუ არა საჭირო დროს კლასში შემაჯამებელი დავალებებისათვის მზადებას?(დაახლოებით რამდენ საგაკვეთილო საათს?)

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქალაქ თერჯოლის

N 2 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელ მაკა ყიფშიძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიშის

რეფლექსია კვლევის ანგარიშის კოლეგებთან გაზიარების შესახებ

2018-2019 სასწავლო წლის II სემესტრში სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის მეორე საჯარო სკოლის მე-5 კლასში განვახორციელე პრაქტიკული კვლევა თემაზე: ,,მიმდინარე და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების შეუსაბამობა და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგების გაუმჯობესების გზები''

კვლევის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა ხუთი თვის განმავლობაში და მასში ჩართულნი იყვნენ მოსწავლეები (სამიზნე ჯგუფი). პედაგოგები, რომლებიც ასწავლიდნენ კლასს.

კვლევამ მიჩვენა, მე, როგორც მასწავლებელმა, უფრო მეტი მკაფიოდ უნდა ჩამოვაყალიბო ინსტრუქციები. ხოლო მოსწავლეების მხრიდან საჭიროა უფრო მეტი დრო დაეთმოს შემაჯამებელი დავალებებისათვის მომზადებას.

აღნიშნული კვლევის მიმდინარეობისას მუდმივად მქონდა კონსულტაციები კოლეგებთან. მათთან ერთობლივი მუშაობისას გამოიკვეთა ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც დაგვეხმარება სამომავლო სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვასა და შესაბამისად პრობლემის აღმოფხვრაში.

კვლევის დასრულების შემდეგ მიღებული შედეგების, დასკვნების, რეკომენდაციების გასაცნობად და გასაზიარებლად პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში პრეზენტაციის სახით წარვუდგინე კოლეგებს.

პრეზენტაცია გაიმართა 2019 წლის 7 ივნისს 12:00 საათზე

პრეზენტაციის დროს დეტალურად განვიხილე ჩემ მიერ განხორციელებული კვლევის სტრუქტურა, თითოეული ეტაპი, რამ განაპირობა საკვლევი საკითხის განხილვა, როგორ მიმდინარეობდა კვლევის პროცესი, ინტერვენციები და ა.შ.

პრეზენტაციაზე მოვისმინე კოლეგების მოსაზრებები, კერძოდ:

- საკითხი აქტუალურია. შემაჯამებელი სამუშაოების სწორად დაგეგმვა მნიშვნელოვანია, ამიტომ სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების დანერგვა აუცილებლად მოგვცემს კარგ შედეგს
- პრაქტიკული კვლევის განხორციელება მასწავლებელს ეხმარება გამოავლინოს ახალი საჭიროებები და დაგეგმოს ინტერვენციები

პრეზენტაცია დამეხმარა კიდევ ერთხელ გადამევლო თვალი ჩემ მიერ განხორციელებული სამუშაოსათვის .გამოიკვეთა ის პრიორიტეტები, რომლებსაც გავითვალისწინებ სამომავლოდ.

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის ქ. თერჯოლის მეორე

საჯარო სკოლის მათემატიკის უფროსი

მასწავლებელი : მ. ყიფშიძე მაკა ყიფშიძე